№ 162 11 მარიამობისთვე, პარასკევი. 1866—1878 11 მარიამობისთვე, პარასკევი № 162

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирадловის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирадловის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Заграшъ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: თოთხმეტ წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთ ადგილ-ებით ასოზე—1 კაპ., ორ-სამ-ჯერ ასოზე—1 კაპ., ოთხ-ექვსჯერ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამები ნახე უკანასკნელ გვერდზე

საქართველო

მშვიდობიანობის დროს

ომის დროს მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის ყურადღება გარეშე მტერზედაა მიქცეული; მიქცეულია ამ მტერთან ბრძოლაზედ და საზოგადოთ მხოლოთ სამხედრო საქმეებზედა.

ეს ადვილად გასაგებია, რადგან ომზედ, მტერთან ბრძოლაზედ ხშირად ხალხის ბედი და უბედობა, ხანდისხან თვით ხალხის არსებაც კი არის დამოკიდებული.

მაგრამ, როცა რომელიმე ხალხს გარეშე მტერი არ აწუხებს, როდესაც ის მშვიდობიანად, შეუშფოთებელად ცხოვრებს, მაშინ სამხედრო საქმეებს, უეჭველია, უფრო ნაკლები ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული; მშვიდობიანობის დროს მთელი ხალხი თავის შინაგან ცხოვრებაზე, თავის მეურნეობის წარმატებაზე, თავის ეჭვრობისა და აღებ-მიცემის გაძლიერებაზე, თავის გონებისა და ზნეობის სწორ გზაზე დადგომაზედ,—ერთის სიტყვით, თავის შინაგან საქმეებზე, კეთილ-დღეობაზედ უნდა ზრუნავდეს.

ომი ძალდატანებითი, უნორმალო, უნებლიეი საქმეა ყველა ხალხისთვის; თუ ერთი რამე, ანუ ვინმე არ აწუხებს ხალხს, ისე ის თოფ-იარაღს არ მოჰკიდებს ხელს, ისე ომს არ დაიწყებს. თავის მოძმის სისხლის ღვრა, თუნდაც რომ ეს მოძმე მისი დაუძინებელი მტერი იყოს, კაცს არასოდეს არ ესიამოვნება.

ნორმალური მდგომარეობა ხალხისა, ბუნებისაგან დაწესებული ცხოვრება კი მშვიდობიანი ცხოვრებაა, ისეთი ცხოვრება, როდესაც ადამიანის მხეცურ ძალასა და კაცისაგან მოგონილს სხვა-დასხვა მჭლეტავ, სიცოცხლის მომსპობიარაღს კი არა აქვს ადგილი და მნიშვნელობა, არამედ მხოლოთ კაცის შრომას, გონებას, სიყვარულსა და ერთობას...

თითქმის ერთის წლის განმავალობაში ჩვენ დღე და ღამე მხოლოთ ბრძოლა, დამარცხება, გამარჯვება, სისხლი, ყუმბარა, თოფი, ზარბაზანი, ციხე და სხვა ამგვარი რამეები გვესმოდა და გვებლანდებოდა თვალ წინ. სიზმარშიაც კი ბრძოლა და ომი გვეჩვენებოდა.

—ბათავდა ომი. ავად თუ კარგად, მშვიდობიანობა დამყარდა. ავად თუ კარგათ, ბერლინის კონგრესმა გაარიგა ევროპის დახლართული საქმეები და იმედი მოგვცა, რომ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც ომის ნუ გეშინიანთო, მშვიდობიანად შეგიძლიანთ იცხოვროთო.

მაშ ახლა ჩვენს შინაგან საქმეებზე უნდა ვიზრუნოთ; გარეშე მტერი აღარ გვებლანდება, შინაგან ჩვენს ცხოვრებას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ეროთი თვისებათაგანი ომისა, სხვათა შორის, ის არის, რომ ამ დროს გამოჩნდება ყოველი ღირსება და ნაკლულევანება მებრძოლი ხალხებისა; ომის დროს, როდესაც ხალხი შემოიკრებს ყველა თავის ძალას, გამოაშკარდება მებრძოლთ როგორც ზნეობითი მხარე, აგრეთვე მატერიალური ძალა, სიმდიდრე ანუ სიღარიბე, მხნეობა ანუ სიმუხთლე, შინაგანი განწყობილების კარგობა ანუ უვარგისობა და სხვ. და სხვ.

ამ გაელილმა ომმა ცხადათ დაანახვა რუსეთის ხალხს ბევრი ისეთი მხარეები თავის ცხოვრებისა და სახელმწიფო საქმეების განწყობილებისა, რომელსაც მშვიდობიანობის დროს არ ჰხედავდა ან, თუ ხედავდა, ერთობ ცოტა ყურადღებას აქცევდა. ომმა დაანახვა რუსეთის საზოგადოებას, რომ ბევრი ისეთი მხარეები, ბევრი ისეთი ნაკლულევანება ყოფილა რუსეთში, რომელთაც დაუყოვნებელი წამალი, განკურნება და გასწორება ეჭირება.

ყველა რუსის გაზეთები ერთ-ხმად ღაღადებენ ახლა, რომ ჩვენ ძრიელნი ეყოფილვართ ჩვენის ფიზიკურის ძალით და ბუნებითი სიმდიდრით; მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ამ ფიზიკური ძალის კეთილად წამმართავი, რიგიან გზაზე დამყენებელი, სწორად მსელელობის მაჩვენებელი გეკლებიაო. უეჭველიაო, ამბობენ ეს გაზეთები, რომ ამ უკანასკნელი ოც-და-ათი წლის განმავალობაში ჩვენმა ქვეყანამ განათლებისა და ყოველ წარმატების გზაზედ წინ წარსდგა ფეხიო; მაგრამ კიდევ დარჩა ჩვენს სახელმწიფო წყობილებაში და საზოგადო ცხოვრებაში ბევრი ისეთი მხარეები, ბევრი ისეთი ნაკლულევანება, რომელთაც აუცილებელი და დაუყოვნებელი გასწორება და გაუმჯობესება ეჭირებაო.

ყველა დათანხმდება ამ ძოსაზრებაზედ.

და ამის გამო უბირველესი მოვალეობა და საქმე რუსეთის საზოგადოებისა ახლა ის უნდა იყოს, რომ ამ შინაგან ნაკლულევანების და ზნეობით ძალის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას ეცადოს.

ეს არის მოვალეობა, რომლის შესრულებაც გაელილმა ომმა გვიანდერძა ჩვენ.

ს. ვ.

დღიური

* ერთს პეტერბურღის გაზეთში ** დაბეჭდილია თფილისიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომ ბათუმს შაბათს, 12 აგვისტოს, დაიჭერენ ჩვენი ჯარებიო. „თფილისის მოამბეშიაც“ ფოთიდამ იწერებიან აგრეთვე, რომ ჩვენი ჯარები ემზადებიან ამ ჟამად ბათუმში წასასელელად და ოსმალოებიც გასელას აპირებენო, ასე რომ ამ კვირის განმავალობაში ბათუმს ჩვენ დავიჭერთო. ამავე გაზეთის სიტყვით, როდესაც ოსმალოს ჯარები გაელენ ბათუმიდამ, მაშინ ხალხი ველარ გაბედავს დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს იქ შემავალ რუსებს. ამბობენ, რომ ერთი ნაწილი ოსმალოს ჯარისა უკვე გავიდა ბათუმიდამა.

* ამ დღეებში გამოვიდა პეტერ- ** ბურღში სამეცნიერო აკადემიის ხარჯით დაბეჭდილი უფ. დ. ზ. ბაქრაძის წიგნი სახელად „Археологическое путешествіе по Гуріи и Адчарѣ“ (არხეოლოგიური მიზნით მოგზაურობა ზურიაში და აჭარაში). ამ წიგნთან დართული

გეოგრაფიული კარტა იმ ოსმალოს-საქართველოს ნაწილისა, რომელშიაც ავტორს უმგზავრია და ატლასი. მთელი წიგნი შეიცავს 400 გვერდამდინ ტექსტს, რომელშიაც ბევრი საინტერესო დოკუმენტები, გუჯრები და სიგელები არია გარკვეული. ეს წიგნი ისყიდება 2 მანეთათ პეტერბურღში წიგნის მაღაზიებში: ბოლზუნოვისა, ისაკოვისა, რიგაში—კიმმელისას და ლეიპციგში—ფოსსისას.

ავტორი შეეხება არათუ მარტო არხეოლოგიას იმ ქვეყნისას, რომელიც იმას დაუვლია, არამედ ბუნებას და ხალხის ხასიათსა, ჩვეულებას და საზოგადოთ ცხოვრებას.

ამის გამო ახლა, როდესაც ეს მხარე ჩვენ უნდა შემოგვიერთდეს, ამ წიგნს, რასაკვირველია, ერთი-ორად ემატება ინტერესი და მნიშვნელობა.

*** აბას-თუმნიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ წლევანდელისოდენა ბევრი ხალხი ჩვენს მადნის წყლებზე თავის დღეში არ ყოფილაო. სულ უკანასკნელი 2,000 კაცამდინ იქნებაო, რომელთაგან მომეტებული ნაწილი სამხედრო წოდების პირნი არიანო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ ამ მომსვლელთაგანში, სამხედრო პირებს გარდა, მესამედი არ სარგებლობს აქაურ მადნის წყლებითაო, დანარჩენები მხოლოთ კარგი ჰაერისათვის და უფრო თავისუფლად დროების გასატარებელად არიან მოსულნიო.

*** აბას-თუმნიდამვე „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ გასული ივლისის 28 აბას-თუმნიდამ 15 ვერსზედ აჭარლები დაეცნენ საქონლით დატვირთულ ცხენებს, რომელთაც ჩვენი სალდათებსა მიუძღოდნენო და ორი ცხენი, შაქრით დატვირთული, წაართვესო. სალდათები და აჭარლებს შუა ამ დროს სროლა შექნილა და ერთი სალდათი მოუკლავთ და მეორე დაუჭრიათ. აჭარლებს ყველას პიბოდის სისტემის თოფი ჰქონდათო.

*** გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ ბაქოს ქალაქის საზოგადოება რეალურს სასწავლებელს ხსნის თავის ხარჯითაო.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ უფ. ის. ვახნაძეს დაუწერია ქართულს ენაზედ კომედია, სახელად „კაცი ვარ და ქუდი მხურავს!“ როგორც ამბობენ, კომედიის შინაარსი კახეთის ცხოვრებიდამ არის ამოღებული. კარგს კომედიას ამბობენ. მაგრამ მალე დაიბეჭდება და მაშინ ვნახოთ...

*** რუსულ გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ამ 18 აპრილს გაიხსნა პეტერბურღში განსაკუთრებული „თავშესაფარი სახლი“ (პრიუტი) იმ აფიცრების შვილებისათვის, რომელნიც ამ 1877—1878 წლის ომში არიან დახოცილნი ანუ მძიმედ დაჭრილნი.

„ეს სახლი გამართულია ქალების კეთილის-მყოფელ საზოგადოებისაგან დიდი კნეინა ევგენია მაქსიმილიანის ასულის შემწეობით. იმაში მიიღებენ აფიცრის შვილებს 4 წლიდამ 12 წლამდინ. აქ არის შკოლა ორის კლასით, რომელშიაც უფროს ყმაწვილებს ოთხი წლის განმავალობაში ასწავლიან. ვინც ამ შკოლაში სწავლას შეასრულებს, იმათ სამხედრო გიმნაზიის მეორე კლასში მიიღებენ სახელმწიფო ხარჯით.

„ეს საქმე მინდობილი აქვს პოლკოვნიკს ლიალინს.

„ვოეიკოვის ქალმა მუქთათ დაუთმო დროებით თავის სახლი ნევის პროსპექტზე ამ პრიუტისთვის.

„ჯერ-ჯერობით პრიუტში მარტო ოც-და-ათი ყმაწვილისთვის იქნება ადგილი; მაგრამ შემდეგში მოემატება.

„სწავლა შკოლაში ამ აგვისტოს თვიდამ დაიწყება.“

*** საჩქარო საქმეების განსახილველად ქალაქის თავის მოადგილემ დანიშნა მომავალ ორშაბათს, 14 აგვისტოს, საღამოს 7½ საათზე არა-ჩვეულებრივი სხდომა ქალაქის რჩევისა, რომელზედაც იქნება სჯა შემდეგ საგნებზედ:

1) წინადადება უფ. თფილისის გუბერნატორისა იმის თაობაზედ, რომ, სანიტარულის კომიტეტის პროექტით, ქალაქმა მოახდინოს ზოგიერთი განკარგულება თფილისის გაჯანმთელებისათვის.

2) მოწერილობა სანიტარულ-ასსენიზაციის ატრიადების უფროსისა იმის თაობაზედ, რომ იმან დაითხოვა სანიტარულ ატრიადიდამ ქალაქის დეპუტატი, ხმოვანი, უფ. დოქტორი ვართანოვი.

3) მოხსენება გამგეობისა ოკრაგის ქუჩაზე და კალუჩი ბალკაში არხების გაყვანაზედ, და

4) მოხსენება გამგეობისა ვოდოვოზნის ქუჩაზედ, ქალაქის სახლის ქვეშ, თხრილის გაკეთებაზედ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ახალქალაქიდგან (გორის), 5 აგვისტოს. წრეულს სოფ. ახალქალაქში იმოდენი ხალხი შეგროვდა საზაფხულოთ, რომ სხვა დაჩებს აღარ ჩამორჩება. და ამ დაჩის უპირატესობა სხვა დაჩებთან ეს არის, რომ აქ დიდი მხიარულობაა და ამასთან თავისუფლობაც. აქ ზაფხულში მომსვლელს თავისუფლათ შეუძლიან იმღეროს, იხტუნოს, ითამაშოს და თუ ჰსურს, მუშტი-კრივიც გამართოს, ზედამხედველი არავინა ჰყავს...

და განა არ მოგეხსენებათ, რომ კაცისთვის, რომელიც ზაფხულში გამოსულა სოფლათ, ეს თავისუფლება დაუფასებელია! ფერჩატკი, გალსტუკი, ჩესტი და სხვა-და-სხვა შემავიწროებელი ჩვეულებები სხვა-და-სხვა დაჩებში აუცილებლათ საჭიროდ მიღებულნი, ახალქალაქში სრულიად საჭიროდ არ არის. გარდა ამისა აქ მცხოვრებს ძრიელ უყვართ ერთობა. ერთი დღე არ გამოვა, რომ საქეიფოთ არ იყოთ მიწვეული. თუმცა მუზიკით არა ვართ ბედნიერნი, (დიდი კაცების უყოლობისა გამო), მაგრამ შარმანკაზედაც დიდის გულ-მოდგინებით ვცეკვაობთ.

ამ მხიარულებასთან აქაური საზოგადოება არც კეთილ საქმეს ივიწყებს: რამდენიმე ყმაწვილმა ქალმა და კაცმა იკისრეს ქართული სპექტაკლების შედგენა. გააკეთეს ლამაზი, პატარა სცენა სასოფლოთ დადგებულს გალავანში და ორს ამ თვეს იყო კიდეც პირველი წარმოდგენა. წარმოადგინეს ანტონოვის კომედია „ქმარი ხუთის ცოლისა“.

მოთამაშენი თუმცა არტისტიულათ არ ასრულებდნენ თავის როლებს, მაგრამ ყველანი სცდილობდნენ რიგიანათ აესრულებინათ თავისი მოვალეობა.

ხალხი შეგროვდა რამდენიმე სოფლიდგან. მთელ სოფელს რაღაც დღესასწაულური შეხედულობა ჰქონდა, (თუმცა უქმე დღეც არ იყო).

გავაჩაღეთ ჩვენი პატარა თეატრი, რომელიც იყო შემკული დიდრონის ხეხილის ხეებით და გადაჭიმულის ვაზის ხეივნით. დაიგრიალა ჩვენმა შარმანკამ და შეგროვდა ხალხი. სასიამოვნო გადასათვალიერებელი იყო ჩვენი თეატრის პარტერი: მწვანე ხეებში აქა-იქ ჩამოკიდებული ფარნები ძლივასლა ბჟუტავდნენ მშვენიერ გაბადრულ მთვარესთან, რომელიც უხვათ ანათებდა აქ მოსულს მორთულ-მოკაზმულ საზოგადოებას. რადგანაც წარმოდგენის შემოსავალი იყო დანიშნული აქაურის სასოფლო შკოლისათვის, ამისათვის აქაურმა გლეხკაცობამაც არ დაიშურა თითო-ოროლა აბაზი და ნახევარ საზოგადოებას შეადგენდა გლეხ-კაცობა, რომელიც დიდის სიამოვნებით და ხარხარით ისმენდა ყოველ სცენაზე ნათქვამ სიტყვას.

პირველი სპექტაკლის შემოსავალი თითქმის ნახევრამდინ სცენის გაკეთებას მოუნდა და ამისათვის კიდევ აპირობენ მოთამაშენი ორ-სამ წარმოდგენას. და თუ შემდეგ წარმოდგენებზედ საზოგადოება ამ გვარ თანაშემწეობას მიიღებს, კარგა ფული მოუგროვდება აქაურს შკოლას, რომელიც აგერ სამი წელიწადი უნდა გაიხსნას და აქაურ მცხოვრებთ კი არა ეშველათ-რა.

დიდი საჭიროა ახალქალაქში სასოფლო შკოლა, მაგრამ პატრონი ვინ არის. სამას კომლამდე მცხოვრები ამ სოფლისი თითქმის ანბანის უსწავლელათ რჩება. იქნება ღმერთმა ქნას და ჩვენმა თეატრის ფულებმა ცოტა რამ შემწეობა მაინც მისცეს აქ შკოლის მალე დაარსებას.

მე ისე ალტაცებით ავწერე ახალქალაქის ქეიფი, რომ გეგონებათ, იქაურებს ქეიფის მეტი ჯავრი აღარა აქვსთ-რაო. არა; ახალქალაქს ბევრი ნაკლებულობა აქვს, ახალქალაქში მცხოვრებნი ბევრით უკანა სდგანან სხვა წარჩინებულ საზოგადოებთან, ბევრი შევიწროება და უბედურობა აქვს, მაგრამ მე მხოლოთ აგიწერეთ ახალქალაქი როგორც საზაფხულო დაჩა და არა იმის შინაურული მდგომარეობა; ამას დიდი გამოკვლევა

და დიდი დაკვირვება უნდა და აბა თფილისიდგან დაჩათ გამოსულს ან სად შეიძლიან ამის გამოძიება და თუნდ შეეძლოს, განა არ მოგეხსენებათ, ზაფხულში ტვინი უფრო გეეწყობა მსუბუქს სჯას, მანამ ფილოსოფიურს ბაასს.

თუ რამდენი ფული შეგროვდება სპექტაკლებისაგან შკოლისთვის, თავის დროზედ გაცნობებთ.

ე. გ.

წერილი რედაქტორთან

თქვენის პატივცემული გაზეთი „დროების“ 143 №-ში ვკითხულობთ წერილს უფ. N N-ისა, რომელიც თავის მოუსაზრებელის მსვლელობით შეურაცხათ ჰხდის „კომიტეტს“ დადგენილს (ვითომ მისის ჭკუით) ქართულის გალობის ნოტებზედ გადასაღებად“, უწოდებს რა მის წევრთა უცოდინრებათ, უენერგიოებათ და სხვ.

რადგან თვენის გაზეთის მკითხველისათვის იქმნება საინტერესო იყოს ამ საქმეზედ ნამდვილი შეიტყოს რამა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, უფ. რედაქტორო, ჩემს წერილსაც მისცეთ ადგილი „დროების“ რომელსამე ნომერში.

უპირველეს საჭიროებად ვრაცხთ აქ მოგახსენოთ თუ ხსენებულის საქმისათვის, რა საფუძვლით შესდგა კამიტეტი, რა გვარის უფლებით და ანუ შემდგენელთ ამ კამიტეტისას რა ჰქონდათ სახეში და რა არა?

მოგეხსენებათ, რომ ყოვლად-უსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თფ. სას. სემინარიის პრავლენიეში, სასარგებლოდ ქართულის გალობის გავრცელებისა, დასდო 500 მანეთი.

განაცხადა თუ არა საქვეყნოდ ეს სასიამოვნო შემთხვევა თქვენმა გაზეთმა „დროებამ“, ამ დროიდგან ვისაც კი მოეპოვებოდა ქართული გალობა ნოტებზედ გადაღებული, ყველამ წარუდგინეს სემ. პრავლენიეს თავისი ნოტები და სთხოვდნენ დაბეჭდას, თუ რომ მათ პრავლენიე ღირსეულად დაინახავდა. ჩვენდა საუბედუროდ, ბევრი არ გამოჩნდა ამ გვარი ნოტები: ჯერ წარმოადგინა ქუთაისიდგან უ. მრევლოვმა თავის საკუთარი შრომა, რომელიც შეიცავდა ოკროპირის წირვის წესს და მცირედს სხვა საგალობლებსაცა, და შემდეგ ქაშუეთის მღვდ. ჭრელაევმა თვისის მამის დეკანოზის გრიგოლ ჭრელაევისგნით გადაღებული და ესეც ოკროპირის წესი.

ეს ნოტები მიიღო თუ არა სემ. პრავლენიემ მაშინვე დანიშნა თფილისის სამღვდელოთა შორის ისეთი პირნი, რომელთაც შესძლებოდათ გაშინჯვა და დაფასება ხსენებულის ნოტებისა. პრავლენიეს ამ ხანად სხვა გვარად არა დაუვალებია რა კამიტეტისთვის, და არც კამიტეტს ჰქონდა ბრძანება და არცა რა ვითარი საშუალება და ხელის შეწყობა არავის მხრით, რომ თვით ემოქმედნა ამ შემთხვევაში. ამ უკანასკნელმა მხოლოდ აღასრულა ის მინდობილება სემინარიის პრავლენიესგნით, რომლისთვისაც იყო ამ ხანად დადგენილი, ე. ი. გასინჯა უ. მრევლოვისა და მამა ჭრელაევის ნოტები და როგორც დაინახა ისინი, ისრე დააფასა და წარუდგინა პრავლენესავე.

ეხლა ნება მიბოძეთ ვკითხო უფ. N N-ს — გაიგო თუ არა, რომ კამიტეტი,—ის კამიტეტი, რომელიც აქამდინ იყო დადგენილი „გასასინჯავათ და დასაფასებლათ ნოტებზედ გადაღებულის ქართულის გალობისა“ და არა (როგორც უფ. N. N-ს ჰგონია) მისი გადასაღებად, ის კომიტეტი რათი დააკმაყოფილებდა უფ. N. N-საგან მასზედ მიქცეულს სასტიკს ყურადღებას? მართალია, კომიტეტმა ივლისის პირველ რიცხვებში კიდევ მიიღო სემინარიის პრავლენიესგნით მოწერილობა, რომლითაც ჰპირდება ყოველ გვარს შემწეობას, ამ შემთხვევაში, და თითქმის მოვალედაც ჰხდის, რომ თვით გადიღოს ხსენებული ქართული გალობა ნოტებზედ, მაგრამ მანამდის კი კამიტეტი თვისით ვერას მოქმედებდა; რაც უბრძანეს, ის ყველა აღასრულა, და ახლაც ცდილობს ამ საქმისთვის, თუ კი გაუვიდა რამე და საზოგადოებამ თანაგრძნობა აღმოუჩინა.

ამ ხანად მას გურიიდგან ჰყავს გამოწვეული ქართულს გალობაში დახელოვნებული კაცი და იმედია უთუოდ იშოვნის. ამ კაცისთვის კომიტეტს ფული დასჭირდება; აგრეთვე ფული საჭირო იქმნება კარგის ნოტებზედ გადამღების მოსაპოებლათაც.

რაიცა შეეხება მ. კარბელოვს, კომიტეტმაცა და მთელმა კარბელოვის მცნობმა საზოგადოებამაც იცის, რომ ამ ხანად იმას აღარ შეუძლიან; მაშასადამე არც მიჰპართამდა კომიტეტი კარბელოვს და არც მიუმართავს.

„ამ კამისიის წევრნი ისე უენერგიოთ ეკიდებიან თავიანთ ვალს, რომ წინათვე დარწმუნებით იტყვის კაცი, ვერაფერს გროში-კაპეიკის საქმეს ვერ გაარიგებენო. . . . დაუნიშნავთ იმისთანა წევრნი, რომელთაზედაც შეიძლიან ვსთქვა, რომ გალობა და იმის გემოვნება, სული და ხორცი გალობისა ისე აქვსთ გამჯდარი თავში, როგორც მეჩინური ენის გემოვნება, სული და ხორცი ჩინურის პოეზიისა“. ასე ამბობს უფ. N. N.

კომიტეტს შეადგენენ შემდეგნი პირნი: 1, წევრი საქართველო-იმერეთის სინონდალის კონტორისა მ. არხიმანდრიტი მაკარი; 2, მღვდელი სიონის სობოროსა გრიგოლი მღებრიევი; 3, ამავე სობოროს მღვ. ალექსანდრე მოლოდინოვი; 4, დიაკონი და რეგენტი საქართველოს ექსარხოსის გუნდისა (хоръ), რომელსაც აქვს დიპლომი კაპელიდან, და 5, მასწავლებელი ქართულის ენისა თფ. სას. სემინარიაში უ. მიხეილ მაჭავარიანი.

პირველს ამათგანზედ ვერას იტყვის უ. N. N. და თუ იტყვის რასმეს, იტყუებს, რადგანაც მთელმა ქართლ-კახეთის სამღვდელოთ იციან და [illegible] რომ მ. კარბელოვი 1862 წლამდე არც კი ვინმე იცოდა—იყო სადმე თუ არა, თუ რომ მ. არხ. მაკარის გალობის სიყვარულს არ გაეწვია ქიზიყისწმ. ნინოს სობოროში გალობის მასწავლებლად.

ვერცარას მეორეზედ იტყვის და თუ იტყვის მაინც იტყუებს: ყველამ იცის, რომ კარბელოვისგან სემინარიაში სწავლების დროს, უპირველესი მოწაფე იმის საგანში იყო მღებრიევი.

აგრეთვე ვერას იტყვის მესამეზედ და მეოთხეზედაც და თუ იტყვის რასმეს, კიდევ იტყუებს, ამიტომ რომ მესამე ამათგანი, მღ. ალექ. მოლოდინოვი დღესაც ეგზარხოსის გუნდში გალობს, და, მეოთხე დიაკონი ვასილ აუშევი, არათუ გალობს, არამედ რეგენტობს და ასწავლის გალობას.

მაშ დარჩა მეხუთე უ. მიხ. მაჭავარიანი, რომელმაც არ არის დიდი ხანი, რაც კომიტეტში მიიღო მონაწილეობა; მაგრამ ვერცარას ამაზედ იტყვის უფ. N N რადგან უ. მიხეილი მაჭავარიანს დღეს მზათ აქვს თვისგან ნოტებზედ გადაღებული ქართული სახალხო სიმღერები და დღეს თუ ხვალ დაიბეჭდება.

კომიტეტის წევრი

ომის შემდეგ

ოსმალეთი

ამას წინათ უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ, ვითომც ინგლისის ოსმალეთ ელჩს ლეიარდს ეთქვას რუსეთის წარმომადგენელის ლობანოვ-როსტოვსკისათვის, რომ მოშორდებიან თუ არა რუსის ჯარები სტამბოლს, იმწამსვე ჩვენც წავიყვანთ ჩვენს სამხედრო ფლოტს მარმარილოს ზღვიდამაო.

გაზეთს „Times„-ში დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს ახლა, რომ ინგლისი და რუსეთი ასე მორიგდნენო, რომ ორთავე სახელმწიფოს ჯარები ერთსა-და-იმავე დროს უნდა მოშორდეს ოსმალეთის სატახტო ქალაქსაო.

— ოსმალოს ღენერალი ოსმან-ფაშა, როგორც ერთი ფრანცუზური გაზეთი გვაცნობებს, რამდენიმე აფიცრით წამოსულა სტამბოლიდამ რუსეთისაკენ და ამ დღეებში სევასტოპოლში მოელიანო. ამათ უნდა ჩაიბარონ ოსმალოს ტყვეები, რომელნიც ამ ომის განმავლობაში აიყვანეს რუსის ჯარებმა.

ავსტრია

სტამბოლელი კორრესპონდენტი ვენის გაზეთის „პრესსისა“ იწერება ამ ქალაქიდამ:

„ჩვენს ელჩ'ს გრაფ ზიჩის ჰქონდა ამ დღეებში აუდიენცია ხონთქართან და სთხოვა იმას დაამშვიდობოს აჯანყებულებით სნიელები და ისე მოათავსოს საქმე, რომ ავსტრიის ჯარს სისხლის დაღვრა აეცილოს ამ ქვეყნისა და ერცოგოვინის დაჭერის დროს.

„ხონთქარმა უპასუხა ელჩს, რომ ოსმალეთის მთავრობას თითქმის არა

შეუძლია-რა ამ საქმეში, რადგან აჯანყებულებმა გამოჰყარეს თავის ქვეყნიდამ ჩვენი ჩინოვნიკები და ჯარებიო.

„თუმცა ეს სიტყვები უთხრა სულთარმა გრაფს ზიჩის, მაგრამ მაინც იმ წამსვე მოიხმო მეჰმედ-ალი-ფაშა და გაგზავნა ის ბოსნიაში აჯანყებულების დასამშვიდებლად და თოფ-იარაღის დასაყრელინებელად.

— ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ავსტრიასა და ოსმალეთს შუა ამ ჟამად სრული თანხმობა ჩამოვარდაო; ამათ შეკრეს ერთმანეთში პირობა, რომლის ძალითაც ხონთქარს დარჩება ზოგიერთი უფლება ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში; ამ პირობაზედ ავსტრიის ჯარის უფროს ლენ. ფილიპოვიჩმა და ოსმალეთის წარმომადგენელმა მეჰმედ-ალი-ფაშამ უნდა მოაწერონ ხელი ქ. სარაევოში.

გერმანია

ნემეცურს გაზეთებში მოყვანილია ახალი პროექტი იმ კანონისა, რომელიც მმართებლობას შეუდგენია სოციალისტებისს წინააღმდეგ და საკავშირო რიგაში წარუდგენია დასამტკიცებელად. მთელი ეს კანონის პროექტი 24 მუხლისაგან შესდგება, რომლითაც აღკრძალული იქნება კრებები, ს. ზოგადოებათა შედგენა, დაბეჭდილი თხზულებების გამოცემა და საზოგადოთ ისეთი მოქმედება, რომლის მიზანი იქნება, რომ სახელმწიფო წყობილობა დაარღვიოს. ვინც ამ კანონს გადასცდება, დაისჯება ჯარიმითა ანუ ციხეში ჩამწყვდეევითა (არა უმეტეს ერთის წლისა). მთავრობას უფლება აქვს აღუკრძალოს გამოაშკარებულ სოციალისტებს თავისს სახელმწიფოში ცხოვრება; აგრეთვე უცხო ქვეყნის სოციალისტებიც განდევნილი იქნებიან გერმანიიდამ.

თ. ბისმარკს იმედი აქვს, რომ ახლადარჩეული რეიხსტაღი (პარლამენტი), სულ შეუცვლელად თუ არა, ზოგიერთი მუხლების შეცვლით მაინც მიიღებს და დამტკიცებს ამ სოციალისტების წინააღმდეგს ახალ კანონს.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ლონდონი, 10 აგვისტოს. დერვიშ-ფაშამ გამოუცხადა ბათუმის მაზრის მცხოვრებლებს, რომ ამ აგვისტოს 15-ს რუსები შემოვლენ ბათუმშიო. ქალაქის გამგეობამ გამოაცხადა, რომ ბათუმში მოვა ოსმალოს ხომალდებიო და ვისაც აქ დარჩენა არა ჰსურს, შეუძლიან მიატოვოს ქალაქიო.

კატტარო, 9 აგვისტოს. ბუშინ დილით ოსმალებსა და ჩერნოგორიელებს შუა ბრძოლა ატყდა.

ბომბეი (ინდოეთი), 9 აგვისტოს. ქაბულის ტახტის მემკვიდრე გარდაიცვალა ამ თვის 2-ს; ამის გამო, ამბობენ, ინგლისის ელჩები ჯერ-ჯერობით აღარ წაელენ ქაბულშიო.

ვენა, 8 აგვისტოს. დარბაიდამ მოვიდა ამბავი, რომ გუშინ ღენ. საპარის (ავსტრიისას), დაეცნენ აჯანყებულების ჯარები, მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ უკუ-აქციეს ისინი. ამ შეტაკების დროს დასჭრეს ავსტრიის ფელდმარშალი შმიგაც.

კეტერბურღი, 9 აგვისტოს. დღეს დამარხეს ღენ. მეზენცევი.

სტოკღოლმი (შვეცია), 9 აგვისტოს. აქ შეიკრიბა ხალხთა-შორის კონგრესი საპყრობილეების რეფორმებზე მოსალაპარაკებელად; თავსმჯდომარედ ამოირჩიეს უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი ბიერნშტერნი და ამერიკელი პაისი საპატიო პრეზიდენტად. რუსეთის წარმომადგენელი ბროტი, ბელგიისა — ტერნეერი და შვეციისა — ალმკვისტი ვიცეპრეზიდენტებად არიან აღმოჩენილნი; ბილიომი (შვეიცარიელი) მთავარ სეკრეტრად.

ხვალ, ხუთშაბათს, ქალაქი სტოკღოლმში დღესაწაულს უმართავს კონგრესსა.

განცხადებანი

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ მრისთვისა. ფასი 15 კაპეიკი.

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეშიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. მრისთვისაგან. ფასი ორი შაური.

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თფილისში, ბალავინის პროსპექტზე, ისყიდება რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი „ბატონ-ყმობის უფლება საქართველოში“ („Крѣпостное Право въ Грузіи“). თითო წიგნის ფასი თხუთმეტი შაურია, გაგზავნით ოთხი ანაზი.

მისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიღელს, (ქუჩაში, ელისავეტინსკი-ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

რაკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოკეი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
გორს, ლუშეთს, სიღნაღს . .	—	50
როსტოვს, ოდესს, მოსკოვს	2	—
პეტერბურს, ვარშავას . . .	2	—
ოსმალეთშ., შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქალეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდ. ოჭუგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		
	მან.	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:		
ღია წიგნი		4
დ. ბ ჭდილს (ბეჭდი მისსალი) . .		8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 10 აგვისტ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	—
ფქვილი ფოთელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევანისა, ფუთი	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	—
ბაპენტალი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	30
— თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონ., ფუთი	6	—
ქონის სანთელი ფუთი .	8	80
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
— ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
— ფხვნილი ფუთი . . .	5	40
ულავ ბრგვალი, გირვ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთი ფუთი.	14	—
თამბაქო, საუკეთესო ფთ.	12	—

თფილისის სამეურნალო	
ერევნის მაიდანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.	
ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათ დამ 10-მდინ.	
ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი — შინ. გ. ავად., ქიუჩარიანცი — თვალსა და ხორურგიულ.	
სამშაბათს: ვერმიშევი — შინ. გ. ბაქტი ენერიულისა და კანის	
ა. ბ ხუტოვი — საბებიო და ბავშვის,	
პეუნოვი — თვალს.	
ოთხშაბათი: ვერმიშევი შინ. გ., ბაქტი — გულის და ნერვების	
ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინ. გ. ბაქტი გულის, ქიუჩარიანცი — ფილტიკური და საშვილოსნო ორგანების,	
ა. ბ ხუტოვი — ქალის და ნერვების.	
პარასკევს: ვერმიშევი — შინ. გ.,	
ა. ბახუტოვი — ქალისა და ბავშვების.	
შაბათს: ვერმიშევი შინ. გ., ბაქ.	
ტი-გულ სა და პეუნოვი — თვალ.	

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Августа 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი